



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარაგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №20/27

2020 წლის 28 თებერვალი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) 2020 წლის 28 თებერვლის საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში შემოვიდა შპს „გოგოჭური და კომპანიის“ 2020 წლის 4 თებერვლის №6-1/03 (კომისიაში რეგისტრაცია №965/01 04.02.2020) და 7 თებერვლის №6-1/04 (კომისიაში რეგისტრაცია №1135/01 07.02.2020) წერილები ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის მოთხოვნით, რომელსაც თან ერთვის ტარიფის დადგენისათვის საჭირო გარკვეული ინფორმაცია.

კომისიის შესაბამისი დეპარტამენტების მიერ შესწავლილ იქნა შპს „გოგოჭური და კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით და მიჩნეული იქნა რომ განაცხადი აკმაყოფილებს კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ტარიფების განაგარიშების მეთოდოლოგიის“ მოთხოვნებს. შესაბამისად, კომისიას წარედგინა წინადადება, დაწყებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

შეისწავლა რა წარმოდგენილი დოკუმენტები, კომისია მიიჩნევს, რომ გაზიარებულ უნდა იქნეს ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მოთხოვნა და „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად უნდა დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შემდეგი გარემოებების გამო:

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ტარიფის ან /და საფასურის დადგენისა და მეთოდოლოგიების მიღების მიზნით კომისია ამტკიცებს ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფებსა და გაანგარიშების მეთოდოლოგიას.

კანონის ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, კომისიის მიერ ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ გამოცემულია ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი – 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილება, ხოლო ბუნებრივი გაზის ტარიფების განსაზღვრა ან მისი ცვლილება საჭიროებს აღნიშნულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამატების ან/და ცვლილების შეტანას.

კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 30-ე მუხლის თანახმად, განისაზღვრება მოთხოვნები ტარიფის დადგენის მიზნით წარსადგენი ინფორმაციის მიმართ.

„ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში“, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების შემდეგ კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე“.

ვინაიდან შპს „გოგოჭური და კომპანიის“ სატარიფო განაცხადი წარმოდგენილია სრულყოფილად და იგი აკმაყოფილებს „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არსებობს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველი, წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის საფუძველზე დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „გოგოჭური და კომპანიის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის მიზნით, ხოლო ვინაიდან განსაზღვრული ბუნებრივი გაზის ტარიფები უნდა აისახოს „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაიწყოს ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის გამო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მიღების უფლების მქონე კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ–

სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება იწყება ამავე ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ გამოიყენება კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი შესაძლებელია გამოქვეყნდეს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106⁵ მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა განისაზღვრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹, 106², 106⁵ და 177-ე მუხლების საფუძველზე, კომისიამ


გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების გამოსაცემად დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2020 წლის 30 მარტი, 18:00 საათი.
3. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს და

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის საჯაროდ გამოქვეყნება.

5. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს, უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.
8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

გიორგი ფანგანი



კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.


მაია მელიქიძე



კომისიის წევრი



გიორგი ფრუიძე



კომისიის წევრი